საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030164259850620

№ 01-575/ო **01 / დეკემბერი / 2020 წ.**

„სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/ რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედააციით:

„5. მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებელი დაწესებულების ბრიგადების რაოდენობის მიხედვით, თითოეულ ბრიგადაზე (ბრიგადის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების მიერ და მის შემადგენლობაში შედის ექიმი (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის მქონე ნებისმიერი სუბიექტი, სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობისა და კომპეტენციის მიუხედავად), ასევე დაწესებულების საჭიროების შესაბამისად, ექიმი, ექთანი, ოპერატორი გადამისამართებული ზარების მართვის მიზნით და სტუდენტი) დღე-ღამეში - 120 (ასოცი ლარი) ლარის ოდენობით.“.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე